



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
კოლეჯი „მოდუსი“



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 144

რუსთავი

„06.10.2020“

სსიპ კოლეჯი მოდუსის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე, 51-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს წესდების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 25 სექტემბრის N889415 წერილით განსაზღვრული შეთანხმების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. დამტკიცდეს სსიპ კოლეჯი მოდუსის სტრუქტურა დანართი N1-ის შესაბამისად;
2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს “სსიპ კოლეჯი მოდუსის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ” სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2020 წლის 12 მარტის N42 ბრძანება;
4. დაევალოს კოლეჯის IT სპეციალისტს დავით მარანელს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ვებ-გვერდზე;
5. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაპანაძეს დოკუმენტი შესასრულებლად გადაუზღავნოს IT სპეციალისტს;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ზოსტანქალაქის ქ. #6)

კარლო კერვალიშვილი

დირექტორი



